საქართველოს მთავრობის

დადგენილება №619

2022 წლის 30 დეკემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს 2023 – 2028 წლების კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიისა და კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიის 2023 – 2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ი“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილებით დამტკიცებული „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ მე-3 მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „საქართველოს 2023-2028 წლების კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია“ და „კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა“.

მუხლი 2

ეთხოვოს საქართველოს ეროვნულ ბანკს ამ დადგენილებით დამტკიცებული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**